

24 საათი

ბურჯანაძე ეუთოდან „მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგით“ დაბრუნდა

თამარ ხორბალაძე

“რუსეთი ასეთი შეურაცხყოფილი ჯერ არ ყოფილა”, - აცხადებდა ორიოდე დღის წინ რუსეთის დუმის თავმჯდომარე გენადი სევეჩენი.

“ქართველები ჯერ გაერკვიეთ ტერმინში “ანექსია” და მეერ წარმოვედგინეთ პრეტენზიები”, - ამბობდა სამშაბათს საქართველოში ვიზიტით მყოფი დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი.

“მოქალაქეობის არმქონე ადამიანებს სურდათ, მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა, რა უნდა ვაქნა, უარით გავგეტყუებოდა? რატომ არაფერი გითქვამთ, როცა თურქ-მესხებს ვაძლევდით მოქალაქეობას?” - მიამიტად იოცებდა ხუთშაბათს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლადიმერ რუშაილო.

რუსი ანალიტიკოსები კი საქართველოს ხელისუფლებას ასხენებდნენ, რომ რუსეთს ეუთოში ვეტოს უფლება გააჩნია.

ასეთი გამომხაურება ჰპოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის გამოსვლამ ეუთოს საპარლამენტო სესიაზე, რომლის შესახებაც “24 საათი” ორშაბათს უკვე წერდა.

გაზრდილობა A3 გვირგვინი

ანონსი

დღეს “24 საათის” სტუმარი იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელსაც შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები
ბელ: 20 00 24

ახეყარე “გაზეთი” და კანონი ექსპრესიის შესახებ A3

თავდაცვითი ანტიკონსტიტუციონალიზმი A4

ვინ და რატომ ლობიონდა საინვესტიციო სააგენტოს შექმნას A4

თარქათი, იორდანია და კუვიდი: სამი კლასიკური ირანის წინააღმდეგ A5

განარაჯობა პროკურატურამ დათო შენაღობა დაითხა A7

ანონსი

თბილისი	33	☀️
ქუთაისი	31	☁️
ბათუმი	29	☁️
სოხუმი	30	☁️
ფოთი	30	☁️
თელავი	32	☀️
ჯუბჯუბი	31	☁️
ბორჯომი	29	☀️

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2150
ევრო	2.1847
გირვანქა სტერლინგი	3.4235
რუბლი	0.0701



ბერლინში დანებებული დისკუსია სამი დღის შემდეგ პეტერბურგში გაგრძელდება

ლევან ხარაიძის ფოტო

პანკისში არ ჩატარდება სამხრეთი „სამხედრო ოპერაცია“, მაგრამ...

თამარ ხორბალაძე

საქართველოსა და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნებს, ვლადიმერ რუშაილოს ვიზიტის დროს, არ განუხილავთ ერთობლივი სამხედრო ოპერაციის საკითხი პანკისის ხეობაში, თუმცა - განიხილეს სამართლდამცველი და უშიშროების სამსახურების

ერთობლივი მოქმედებების პერსპექტივა. ამის შესახებ მათ ჟურნალისტებს გაუშინ განუცხადეს. ვლადიმერ რუშაილომ ისიც თქვა, რომ ამ მოქმედებებში, შეიძლება, ჩაერთოს მესამე ძალაც. ალბათ, უშიშროების მდივნის მიერ გამჟღავნებული ეს “შინი ინფორმაცია” საქმარისია იმისათვის, რომ ითქვას: კვამლი ერთობლივი ოპერაციის თაობაზე უცეცხლოდ ნამდვილად არ განიხილა ქართული და უცხოურ მასშტაბში. ხოლო რას დაარქმევთ ამ ოპერაციას - სამხედრო, სამართალდამცველს თუ სხვა რამეს, ეს პოლიტიკური გეგმვების საკითხია და არა თავად მოვლენის არსი.

გაზრდილობა A3 გვირგვინი

იარიში მთელ საზოგადოებაზე

სოფო ბაკია

“თავისუფლების ინსტიტუტზე” თავდასხმის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტის პასუხისმგებლობაზე ალაპარაკდნენ. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში გაუშინ არასამთავრობოები, საერთაშორისო თანამე-

გობრობის წარმომადგენლები და GIPA-ს სტუდენტები შეიკრიბნენ. შემუშავდა მემორიალ-პროტესტი, რომელიც შევარდნაძეს გაეგზავნება. მრავალწლიანი პრაქტიკიდან ვიცი, რომ ეპისტოლარული ფანრი ჩვენს პოლიტიკაში ნაკლებად ეფექტურია, ეს არასამთავრობოებსაც კარგად ესმით, მაგრამ “რა იცით, ხალხო, იქ-

გაზრდილობა A2 გვირგვინი

წინ ბორჯომის ფანტოზური გველოდება



ფესტივალის მონაწილეები: ერო ჰეინონენი, ლიანა ისაკაძე, ვლადიმერ ტარასოვი და კაროლინა ჰაფენერი “24 საათის” ფოტოსტუდიაში

ლევან ხარაიძის ფოტო

მოკლეს ლევან პირველის დაცვის უფროსი

ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობისთვის ჯერ დაპატიმრებული და შემდეგ გაძარცვული გიორგი რჩელიშვილი

ინგა ალავიძე

პარლამენტარ ლევან პირველის სახელი და სამი წლის წინ, თბილისში, რესტორან “თამარიში” მოხდარი მკვლელობის ამბავი საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა. კასპის რაიონის სოფელ თეზის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც სოფელი საძოვრად იყენებს, მწყევსებმა შეწრებში გახვეული ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. მოკლული დეპუტატ ლევან პირველის პირადი დაცვის უფროსი გიორგი რჩელიშვილი აღმოჩნდა.

შიდა ქართლის პროკურორის,

ამირან ნოზაძის ინფორმაციით, მკვლელობა 9 ივლისს მოხდა, გვამის აღმოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე. გამოძიების ვერსიით, მკვლელებმა რჩელიშვილის გვამი კვლავ ადგილიდან წაიღეს და კვალის დაფარვის მიზნით საძოვარზე დააგდეს. მოკლულის გვამს გუმბერუს რაიონის სოფელ თეზის ბლაგვი და მხველეთავე სახლით თავის არეში მიყენებული აქვს 5 სასიკვდილო ჭრილობა. სამართალდამცველთა ვარაუდით, მკვლელობა სახრახნისითაა ჩადენილი.

გაზრდილობა A7 გვირგვინი

პიტარ შოუს გაუჩინარება ბიუჯეტი 44 მილიონი ლარით აზარალა

ბიუჯეტი ვერ შესრულდა, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო კმაყოფილია

გვანცა კვინიკაძე

“ზოლო პერიოდში ეს პირველი შემთხვევაა, როცა საქართველომ სავადასახადო შემოსავლების ხაზით ასეთ თვითკმაყოფილებას პარლამენტართა შენიშვნა მოჰყვა. მათი შეფასებით, ეკონომიკური ბლოკის მიერ ქვეყნის ეკონომიკაში შენიშნულ დადებით ტენდენციებზე საუბარის წლის ბოლოს ყოველთვის ბიუჯეტის 200-300 მილიონიანი სეკესტრით მთავრდება ხოლმე.

გაზრდილობა A4 გვირგვინი

თანგიო კიტოვანი საქუთარმა სიფხიზლემ გადაარჩინა

რუსიკო ნიქარაძე
საქართველოს

“თენგიო კიტოვანზე თავდასხმის მცდელობის კვლი თბილისიდან მოდის”, - აცხადებენ საქართველოს ექს-მინისტრის ნდობით აღჭურვილი პირები მოსკოვში.

გაზრდილობა A2 გვირგვინი

■ ■ ■
სომხეთი. ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მომავალი სწავლება „Best Effort-2003“ სომხეთში გაიმართება. სწავლებებში მონაწილეობა საგარეო დოქტორების, თურქეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები მიიღებენ. წლებულს შემოდგომით სომხეთში ჩატარდება მოსამზადებელი სემინარი.

■ ■ ■
თბილისი. ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნული კომისია მომავალ კვირას აუდიტის დასკვნას მიიღებს, რომლის მეშვეობითაც გაირკვევა, რეალურია თუ არა „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ ტარიფის გაზრდის მოთხოვნა. ამის შემდეგ სემკეპ „ეი-ი-ეს თელასთან“ დიალოგს დაიწყებს და შეეცდება, შეთანხმებას მიაღწიოს.
 „ეი-ი-ეს თელასი“ ტარიფში საკუთარი წილის 7.5 თეთრიდან 10.4 თეთრამდე გაზრდას ითხოვს და აღნიშნავს, რომ ტარიფის გაზრდის მოთხოვნა მისგან საბოლოო, რადგან მან, ძირითადად, ინვესტიციები უკვე დააბანდა და, შესაბამისად, ეს ტარიფიც აისახა.

■ ■ ■
თბილისი. აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **თამაზ ნადარეიშვილი** კრიტიკულად აფასებს ქართულ-აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის საქმიანობას.

ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ 1 აგვისტომდე 7-თვიანი მორატორიუმი გამოაცხადა აფხაზეთში ყველა სახის შეიარაღებულ დაპირისპირებაზე, თუმცა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი გაუარესდა, რადგან ამ შემთხვევაში ასლან აბაშიძე მიესალმება აფხაზეთში მყოფი მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას.

ნადარეიშვილისთვის გაუგებარია აბაშიძის პოზიცია, როდესაც იგი ამბობს, რომ აფხაზეთში 1992-93 წლებში საომარი მოქმედებების დროს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა არ მომხდარა. უკვე იმდენი გაუგებრობები შეიქმნა, რომ ლტოლვილები ნანობენ თავის გადაწყვეტილებას ასლან აბაშიძისათვის დენილი წნობის მანდატის მინიჭების გამო - აღნიშნა ნადარეიშვილმა და დასძინა, რომ უმაღლესმა საბჭომ ბევრი რამ გააკეთა, რათა ეს შეერება ჩატარებულიყო და აბაშიძეს წნობის მანდატი მიეღო.

■ ■ ■
სოხუმი. თვითგამოცხადებული მთავრობის მეთაური **ანრი ჯერგენია** აცხადებს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღება თავისებურ რეჟერენდუმს წარმოადგენს რუსეთსა და აფხაზეთს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების საკითხზე. სოხუმის ინფორმაციით, მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. ჯერგენია კვლავ საუბრობს არალიბერული რესპუბლიკის მიერ რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობაზე და რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სოხუმის პოზიცია კვლავ უცვლელია და თანმიმდევრულია.

■ ■ ■
ზუგდიდი. ქალაქის საკრებულოსა და გამგებლის განმეორებითი არჩევნები კვირას გაიმართება. აქ მაჟორიტარული წესით კენჭს იყრის 84 კანდიდატი.

ქალაქის გამგებლის პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ: **ალეკო იზორია** („აღორძინება - 21-ე საუკუნე“), **მიხეილ არღია** („ნაციონალური მოძრაობა“), ასევე **ბადრი ზარანდია**, **ვახტანგ ცხადაია**, **ტარიელ ქანთარია** და **ნაზარია**, რომლებიც საინიციატივო ჯგუფებშია წარადგინეს.

ქალაქ ზუგდიდში, სადაც 2 ივნისს თვითმმართველობის არჩევნები რამდენიმე ათეული საარჩევნო უბნის დარბევის გამო ჩაიშალა - 31 საარჩევნო უბანი და დახალოებით 49 ათასი ამომრჩეველია.

■ ■ ■
ბაკურიანი. გაეროს ლტოლვილი უმაღლესი კომისარატისა და გაეროს უმაღლესი ასოციაციის თაოსნობით გამართული ტრენინგ-სემინარზე ლტოლვილებსა და დევნილების საკითხს განიხილავენ. ლტოლვილთა და განახლების სამინისტროს წარმომადგენელი გალის რაიონში მიმდინარე პასპორტიზაციის შესახებ აცხადებს, რომ სამინისტრო გალის რაიონში მცხოვრები ქართველების შესახებ მხოლოდ დაუზუსტებელ ციფრებსა და ინფორმაციას ფლობს და საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებენ გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს.

ველთა რადიოებსა და დაამტკიცებენ, რომ იქ დევნილები არ დაბრუნებულან.
 31 ივლისს დაგეგმილია გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც კიდევ ერთხელ განიხილება გალის რაიონში დევნილების დაბრუნების საკითხი.

■ ■ ■
თბილისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის განცხადებით, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად რეზერვისტების საკონტრაქტო პრინციპით დაქირავებასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს.
 კადრების მთავარი სამმართველოს მონაცემებით, თავდაცვის ეროვნულ აკადემიას განცხადებით მიმართა 803-მა მსურველმა. უკვე ორ დღეა, რაც შესული განცხადებების საფუძველზე მომავალ ჯარისკაცთა ტესტირება დაიწყო.
 იმ ჯარისკაცებთან, რომლებიც ერთიანი მომზადების შემდეგ სპეციალურ გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ, გაფორმდება კონტრაქტები და წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში შესაბამის სამხედრო მომზადებას გაივლიან.

■ ■ ■
თბილისი. ქართველი კინორეჟისორები ალაშქოთა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის გამოსვლამ. მათ საქართველოს ხელისუფლება ქართული კინოს მიმართ უპატივცემულობაში დაადანაშაულებს, ხოლო მიკა გოგიაშვილი ელდარ შენგელაიას ცნობილი ფილმის „ცისკური თიბების“ ერთ-ერთ პერსონაჟს - გივის შეადარეს.

ფინანსთა ექს-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის პერიოდში კინოსტრუქტურა „ქართული ფილმი“ სამი მხატვრული სურათის „ცისკური თიბების“ ერთ-ერთ პერსონაჟს - გივის შეადარეს.
 ფინანსთა ექს-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის პერიოდში კინოსტრუქტურა „ქართული ფილმი“ სამი მხატვრული სურათის „ცისკური თიბების“ ერთ-ერთ პერსონაჟს - გივის შეადარეს.
 ფინანსთა ექს-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის პერიოდში კინოსტრუქტურა „ქართული ფილმი“ სამი მხატვრული სურათის „ცისკური თიბების“ ერთ-ერთ პერსონაჟს - გივის შეადარეს.

რეჟისორები მირიან გოგიაშვილთან შეხვედრას აპირებენ, ვინაიდან იმდენი ცულტურის მინისტრის დარად ატირებულნი არ გამოვლენ მინისტრის კაბინეტთან.

■ ■ ■
ცხინვალი. ცხინვალის ხელი-სუფლებმა პანკისის ხეობაში მყოფ ოსებს დაეხმარება, თუ ისინი სამხრეთ ოსეთის არალიბერული რესპუბლიკაში გადასვლას მოინდომებენ.
 ენ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **მურად ჯიოევი** განცხადებით პანკისის ხეობაში მცხოვრები ოსები შეუნებულნი არიან მათი უფლებების დარღვევით ჩეჩენი ბოევიკების მხრიდან. მისი მონაცემებით, პანკისის ხეობაში ამჟამად 1 700 ოსური კომლი ცხოვრობს.

პანკისელი ოსების გასაგონად მან თქვა, რომ ხეობიდან მათი სამხრეთ ოსეთში ჩასვლის შემთხვევაში, მათ მიწებს გამოუყოფენ. ჯიოევიმ აღნიშნა, რომ რამდენიმე ოსური ოჯახი უკვე ჩამოვიდა პანკისის ხეობიდან და ცხინვალსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში დასახლდა.

ამიერკავკასიაში რუსეთის საჯაროსო დაჯგუფების პრესსამსახურის ცნობით, ახალქალაქის ბაზის ტერიტორიის აეროგადაღება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

■ ■ ■
თბილისი. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი აჭარასთან მოუგვარებელი პრობლემების მოწესრიგებას ბათუმში ჩასვლითა და რეგიონის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებით აპირებს. არ არის გამორიცხული, აჭარას თავად ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილიც ესტუმროს.

იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტს საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ აჭარაში არსებული ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი 20 მილიონი ლარი არ მიუღია.
 მინისტრის მოადგილე აპირებს აჭარაში კოლექტის პრობლემის მოგვერების ასეთი გზა შესთავაზოს: აჭარის ხელისუფლებამ ფული ხაზინაში გადმოიტაცოს, ჩვენ კი ამ თანხას იმავე დღეს უკან გადავურიცხავთ. ეს მხოლოდ საბაჟო ოპერაცია იქნება, რეალურად ფული ბათუმში დარჩება. ამით შესაძლებელია მოგვეცემა აჭარაში აკრედიტო ფული ხაზინის ანგარიშებში დაფიქსირდეს,“ - განაცხადა ჩრდილელმა.

■ ■ ■
თელავი. თელავის რაიონის სოფელ გულგულაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად, შესაძლოა, ისტორიული მოვლების მომწევი გაეხდეთ. ამ მიზნით, პელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის ერთობლივმა კომიტეტის ხელშეწყობით სოფელ გულგულას ნატკორის ეკლესიის (V-VII სს) არქეოლოგიური გათხრები დაიწყო.

■ **ამ გათხრების გვიანდა გამოვიკვლით ადრეული შუასაუკუნეების კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუში და, რაც მთავარია, მივა-**

ნოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მეფე არჩილის საფლავს, - განაცხადა არქიტექტორმა გრიგოლ გაგნიძემ.

გათხრებს არქეოლოგი ვიაზო ფიცხელაური და მეცნიერი ვაჟა ვარაზაშვილი ხელმძღვანელობენ. სამუშაოებს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები უმსარულებენ.

■ ■ ■
თბილისი. ამერიკელები მიაი ნიკოლეიშვილის უწყებას თითის ანაბეჭდების აღების პრაქტიკული და თეორიული სწავლების შესახებ ორკვირიან სემინარს ჩაუტარებენ.
 სემინარის დასრულების შემდეგ, ექსპერტები დაიწყებენ მუშაობას თითის ანაბეჭდების აღებაზე. პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში სამართალოში შეიქმნება პატივრებისა და მსჯავრდებულების თითის ანაბეჭდების კომპიუტერული ბანკი. თრენინგ-სემინარი უტარდება 12 ექსპერტს, მათ შორის ათი - იუსტიციის სამინისტროს ექსპერტებისა და სპეციალურ გამოკვლევების ცენტრის, ერთი პროკურატურის, ერთი კი უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი.
 მაია ნიკოლეიშვილის თქმით, თითის ანაბეჭდის ასაღებად ამერიკელებმა შეიმუშავეს სპეციალური პროგრამა, რომლის წყალობით ანაბეჭდის იდენტიფიკაციის მოხდება 5 წუთშია შესაძლებელი.

■ ■ ■
თბილისი. სექტემბერში, საქართველოში რუსული კულტურის ცენტრის ინიციატივით ანტიოდევის სახელობის თბილისის რუსულ დრამატულ თეატრის სანკუტერბურის 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი „ვივატ სანქტ-პეტერბურგი“ გაიხსნება.

ფესტივალის გენერალური სპონსორია მოსკოვის კომპანია „მეტალიონვესტი“.
 ფესტივალი გაიხსნება გიორგი ტოვსტრონოვოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლი „არტი“. მიუხედავად ანატოლი მედვედნიკოვის ფოტოგამოფენას მსახიობი კირილ ლავროვი გახსნის; გამართება შეხვედრები მწერალ დანილ გრანინთან, მსახიობ ლისა ფრედინითან და მუსიკოს ბორის გრებენიშვილთან.
 ქართული მხრიდან ფესტივალის გენერალური სპონსორია ტელეკომპანია „რუსთავი - 2“.

■ ■ ■
თბილისი. რადიოქილვი წყაროების გამოვლენის მიზნით მომავალ კვირას ატომური ენერგეტიკის განვითარების სააგენტოს (მაგისტრ) სპეციალისტების დახმარებით სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების აეროგადაღებები განხორციელდება. გადაიღებენ ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიასაც.

გარემოს დაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ამ გარემოებამ რუსი სამხედროების მხრიდან პროტესტი არ უნდა გამოიწვიოს, რადგან, ლონისძიება საქართველოს საჰაერო სივრცის ფარგლებში ხორციელდება, ამასთან, მაგისტრ სპეციალისტებს შორის რუსეთის წარმომადგენლებიც იქნებიან.


ამიერკავკასიაში რუსეთის საჯაროსო დაჯგუფების პრესსამსახურის ცნობით, ახალქალაქის ბაზის ტერიტორიის აეროგადაღება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.
 ■ ■ ■
თბილისი. გაქურდვს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე მდებარე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის“ ოფისი.

■ ■ ■
თბილისი. ოფიციალურ მოსკოვს საქართველოს უშიშროების სამინისტროსთვის არ მიუბარავს აფხაზეთში რამდენიმე დღის წინ გატაცებული ბერძენი ეროვნების რუსეთის მოქალაქის, ბანკირი სტავროსტილიდის გამო.
 უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადებით, ქართული მხარე ამ შემთხვევაში ვერაფერს ვერ გააკეთებს, რადგან აფხაზეთის ტერიტორია არ კონტროლდება თბილისის მიერ.
 70 წლის სტავროსტილიდი, მოსკოვში ცხოვრობს. იგი ანრი ჯერგენიას ბავშვობის მეგობარია და მასთან ჩაივია, თუმცა, ჯერგენია მას არ შეხვედრია, რამდენიმე დღის წინ კი სტილიდი სოხუმი-ქემრის გზიდან უცნობმა პირებმა გაიტაცეს.

■ ■ ■
თბილისი. ოფიციალურ მოსკოვს საქართველოს უშიშროების სამინისტროსთვის არ მიუბარავს აფხაზეთში რამდენიმე დღის წინ გატაცებული ბერძენი ეროვნების რუსეთის მოქალაქის, ბანკირი სტავროსტილიდის გამო.
 უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადებით, ქართული მხარე ამ შემთხვევაში ვერაფერს ვერ გააკეთებს, რადგან აფხაზეთის ტერიტორია არ კონტროლდება თბილისის მიერ.
 70 წლის სტავროსტილიდი, მოსკოვში ცხოვრობს. იგი ანრი ჯერგენიას ბავშვობის მეგობარია და მასთან ჩაივია, თუმცა, ჯერგენია მას არ შეხვედრია, რამდენიმე დღის წინ კი სტილიდი სოხუმი-ქემრის გზიდან უცნობმა პირებმა გაიტაცეს.

■ ■ ■
თბილისი. ოფიციალურ მოსკოვს საქართველოს უშიშროების სამინისტროსთვის არ მიუბარავს აფხაზეთში რამდენიმე დღის წინ გატაცებული ბერძენი ეროვნების რუსეთის მოქალაქის, ბანკირი სტავროსტილიდის გამო.
 უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადებით, ქართული მხარე ამ შემთხვევაში ვერაფერს ვერ გააკეთებს, რადგან აფხაზეთის ტერიტორია არ კონტროლდება თბილისის მიერ.
 70 წლის სტავროსტილიდი, მოსკოვში ცხოვრობს. იგი ანრი ჯერგენიას ბავშვობის მეგობარია და მასთან ჩაივია, თუმცა, ჯერგენია მას არ შეხვედრია, რამდენიმე დღის წინ კი სტილიდი სოხუმი-ქემრის გზიდან უცნობმა პირებმა გაიტაცეს.

იარიში მთელ საზოგადოებაზე



ვერავის დაგვაზინებს. არ მოეწონათ, ნაძირალა რომ ვუნოდეთ.

ბერანის ელჩი „თავისუფლების ინსტიტუტის“ დარჯებით აღფრთხილებულია

თამარ ასათიანი

“თავისუფლების ინსტიტუტის“ დარჯებს საქართველოში აკრედიტებული დილომატიური კორპუსის წარმომადგენლები უკვე ეფრთხილურად ემზადებიან. გუშინ თავისი აღმშრომელმა გამოიტყვა საქართველოში გერმანიის სრულგებობის ელჩმა შუპ შრამბმა. “ის, რაც მოხდა, ამაზრუნია”, - განაცხადა მან.

არასამთავრობო ორგანიზაციის

ოფისში გამართულ შეხვედრაზე ელჩმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებს და განაცხადა, რომ იგი მომხდარს სამმაგ თავდასხმად აღიქვამს: „თავდასხმად დემოკრატიაზე, სამართლებრივ სახელმწიფოსა და სიტყვის თავისუფლებაზე.“ მისივე თქმით, საერთაშორისო საზოგადოებრიობაში კრიტიკული შეფასებები მოჰყვა საქართველოში განსხვავებულად მოაზროვნეებზე და მათი დროს გახშირდა.

ბულ თავდასხმებს.
“ჩვენ ყოველთვის ვგმობდით ძალადობის ასეთი ფორმების გამოყენებას, მით უფროც, პოლიტიკაში. ჩვენ აქ მოვედით, რათა დავგმოთ ეს მოვლენები. აუცილებელია, რომ შესაბამისმა ორგანიზაციებმა გამოიძიონ ეს საქმე და პასუხისმგებელნი დაამსჯებენ. რაც შეეხება პოლიტიკურ მოტივებს, ამაზე ლაპარაკი მოგვიანებით, გამოძიების შემდეგ უნდა გამართოს,” - ამბობს ელჩი.



გერმანიის ელჩი თანადგომას უცხადებს თავისუფლების ინსტიტუტს

თანგიო კიტოვანი

საკუთარმა სიზხიზლმა გადაარჩინა

პირველი გვირგვინი
 “24 საათთან” საუბარში თენგივ კიტოვანი ამბობს, რომ იგი საკუთარმა სიზხიზლემ გადაარჩინა:
 - მე და ჩემი ახალგაზრდა ნათესავი შინ 10 ივლისს, საღამოს 6-ის ნახევარზე დავბრუნდით და უშუალოდ შევნიშნეთ ავტომანქანა “ვოლგა”, რომელშიც ჩვენური გარეგნობის ახალგაზრდები ისხდნენ და აშკარად სწროვას აპირებდნენ. მომხდურები რუსები არ ყოფილან, ამის თქმა დანადგელებით შემიძლია. მანქანიდან არ გადმოვსულვართ, გზა გავაგრძელეთ. რამდენიმე საათის შემდეგ შინ დავბრუნდით და დაეინახეთ, რომ ეზოში ახლა მეორე მანქანა “ვოლგა” გველოდა, სადაც კავკასიური გარეგნობის რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა. ისინი შეეცადნენ ეკლბში გამოეგყოლოდნენ, მაგრამ გზა დაეკონტროლა. ამასობაში მეზობლებმა მილიცია გამოიძახეს.
 მოსკოვის ცენტრალური ოლქის მილიციის სამმართველო ოპერატიულმა მუშაკებმა კიტოვანის ეზოს ალყა შემოარტყეს და გვიან დაემდეგ ავტომანქანიდან ორივე ჩხრეკდა სადარბაზოებს, როდგანაც, ერთი მე-

ლებდნენ. მეზობლები ამტკიცებენ, რომ მომხდურები მთელი დღე ელოდებოდნენ კიტოვანს, მანქანიდან გადმოდიოდნენ და აშკარად ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყვნენ.
 თენგივ კიტოვანი ამბობს, რომ იგი არ აპირებს, ვინმეს დავცა სთხოვოს. ექს-მინისტრის იმედ აქვს, რომ პოტენციურ მკვლელებს მოსკოვის მილიცია აუცილებლად იპოვებს.
 საგულსხმოა, რომ ამ შემთხვევაზე რამდენიმე დღით ადრე, რუსეთის რადიო - “რეზონანსის” ღია ეთერში გამოსვლისას, თენგივ კიტოვანმა გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლებას ენ. ჩვენურ რეჟიმზე, რომელსაც, მისი თქმით, შემოდგომაზე უნდა ელოდნენ, ხოლო ამ მოვლენებზე საქართველოდან ჩვენეთი ბოევიკთა დაუბრუნებელი გადასვლა იქნება ადგილი. ამასთან, თავდაცვის ექს-მინისტრმა მიანიშნა საქართველოს სპეცსამსახურების მიერ რუსეთის დედაქალაქში არასასურველი ქართველების წინააღმდეგ ჩერხური კრიზისების გამოყენების ფაქტზე და ხაზი გაუსვა, რომ ამ მხრივ ქართული და რუსული სპეცსამსახურები წარმატებით თანამშრომლობენ.

გამომცემელი: რუსთავე 2 პრინტი. მუშაკარი რედაქტორი ბაბაძე ფარავანიძე. პაპა ვაჟაძე (მხარველი რედაქტორი). ვახტანგ ნადირაძე (გამომცემელი რედაქტორი). ირაკლი ლევია (სასახისმშენებელი რედაქტორი). მკვლევარი: დედაქალაქ-დავით მაღრაძე. ლიტერატურა-მალხაზ ხარბელი. სამედიცინო-სამართალი-ნიკოლოზ ტრუვა. სტალინ-ბიძის მავაშვილი. მედიცინა-ზაზა ფარავანიძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი). ბესო კალაშვილი (მხატვარი). მრეზანინი: გიორგი კოკლეშვილი. გიორგი ხმაღლაძე. ქორეოგრაფი: სერგეი. თამაზ ჩხივი (მხატვარი). მაია ყიფიანი. ლევა ნიკაროშვილი. ზეპა ბაღრატიანი. ირაკლი ბილაშვილი. დავით გაგაქორი. ფოტო მალაქაშვილი. აღმასმარე შაიორიშვილი. თენგივ ქორია. სტალი: ნანა კობახიძე. თამარ კვანტარაძე. მზია მომხიბაქაშვილი. ტყარაძე. რეკლამა-ზურბ კაშივილი.

პანკისში არ ჩატარდება სამხსრივი „სამხედრო ოპერაცია“, მებრამ...

პირველი გავრცელება

“სამხედრო ოპერაციის ჩატარების საკითხი თავად პრეზიდენტების გადასწყვეტია.” - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა და იმაზე მიანიშნა, რომ მსგავსი გადაწყვეტილებებს არ უნდა ველოდოთ მდინეების კონსულტაციებისგან. აქვე ითქვა, რომ შესაძლოა, პრეზიდენტები შევარდნაძე და პუტინი ახლო მომავალში შეხვდნენ.

თუმცა, ეს არ მოხდება კავკასიური ოთხეულის უშიშროების მდივნების შეხვედრამდე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება.

ვლადიმირ რუშაილომ კმაყოფილებით აღნიშნა საქართველოსა და რუსეთის შორის კონსულტაციების პროცესის ინტენსიურად მიმდინარეობა; აღნიშნა, რომ ტერორიზმის ფინანსური ძირების მოჭრისთვის მისი სერიოზული მუშაობა; ხაზი გაუსვა ტერორიზმთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ბრძოლის აუცილებლობას; განაცხადა, რომ სასწრაფოდ მოსაგვარებელი ჩეჩენი ლტოლვილების დაბრუნების საკითხი...

გუშინდელ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რუსეთის მიერ აფხა-



„ურთიერთგაგებისკარდისდერი ატმოსფერო“ მალე დაიწყო

ნათი ლომიძის ფოტო

ზეთის და სამაჩაბლოს მოქალაქეებისათვის რუსული პასპორტების დარიცხვის საკითხზე ნამოქიწრა, რამაც დაარღვია „ურთიერთგაგების კარდისფერი ატმოსფერო.“

საქართველოს უშიშროების მდივანმა, თედო ჯვარაცხელიამ კი აღნიშნა, რომ ამ საკითხში ქართულმა და რუსულმა მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ბურჯანაძე უთოდა „მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგით,“ დაბრუნდა



ბერლინში გადატანილი ბრძოლის პირველი კომენტარი

ლანა ხაბაძის ფოტო

პირველი გავრცელება

მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა და რუსეთის აშკარად შეურიგებელი პოზიციისა, საქართველოს დელეგაცია გუშინ ბერლინიდან, სადაც ეუთოს სესია მიმდინარეობდა, „მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგით“ დაბრუნდა.

წინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ვიზიტი მის პრაქტიკაში.

“მიუხედავად წინააღმდეგობისა, საქართველოს დელეგაციამ მოახერხა, რომ აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიცხვის საკითხი გამხდარიყო სერიოზული მსჯელობის საგანი. ამ საკითხს მიეძღვნა ბიუროს ორი სპეციალური სხდომა, მუდმივმოქმედ კომიტეტზე ორჯერ იქნა გატანილი და ბოლოს, სესიის 40-45 წუთი დაეთმო. სელენიოვმა პუტინს კიდევ თავმჯდომარეს, თქვენ თუ გახსოვთ ასეთი განხილვის პრეცედენტი უთოში? ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ.”

ჩვენ მივდინეთ იმას, რომ 53-მა წევრმა სახელმწიფო გამოსატყა აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო აღმოფხვრა და ისინი დასვა-

მენ ამ საკითხს თავიანთი ხელისუფლების წინაშე, რათა ამას მოჰყვეს რეაქცია”, - განაცხადა მან. პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, სხდომაზე მიღწეული იქნა ისიც, რაც წინასწარ საქართველოს მხარესაც არ ჰქონდა ნავარაუდები - სპეციალურ კომისიის დაცვა საკითხის შესწავლა და მისი წარდგენა ჯერ მუდმივმოქმედი კომისიის წინაშე მადრიდში, შემოდგომაზე, შემდეგ კი - საპარლამენტო სესიაზეც.

წინო ბურჯანაძეს მიანიშნა, რომ მიუხედავად „კონსენსუსის მინუს ერთი“ ვარიანტის შესაძლებლობისა, ეუთოში რუსეთის მარტო დარჩება ამ საკითხში, გარკვეულწილად, ჭკუის სასწრაფოდ უნდა აღმოჩნდეს ჩრდილოელი მეზობლისთვის.

ზემოთ უკვე მოყვანილი კომენტარით ცხადყოფა, რომ რუსეთის პოზიცია უცვლელია. თუმცა, ის, რომ საქართველოს დელეგაციამ შეძლო, განეიტრალოს რუსული დელეგაციის მხრიდან საკითხის დაბლოკვის ცდები, ეუთოში მყოფი დელეგაციისა და მისი (რუსეთის მიერ რადიკალად მონათლული) თავმჯდომარის, წინო ბურჯანაძის წარმატებად ნამდვილად უნდა ჩაითვალოს.

კავკასიის ოთხეულის სპიკართა სამიტი, ალბათ, უხედავოდ დამთავრდება

პირველი გავრცელება

რომ ასეთ შეხვედრებს ყოველკვარტალურად გაუკეთოს ორგანიზება.

თანხმობის მიუხედავად, ამიერკავკასიური სამივე სახელმწიფოს პარლამენტის თავმჯდომარეები ახალი ფორუმის შესაძლებლობებს სკეპტიკურად უყურებენ. “ჩვენი საპარლამენტო დელეგაცია, მათ შორის, პირადად, პარლამენტის თავმჯდომარე წინო ბურჯანაძე ამ სამიტის მიმართ სკეპტიკურად ვართ განწყობილი. ჩვენ ვაპირებთ, აქაც დავცვათ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული პასპორტების უკანონო გავრცელების ფაქტი და სხვა მტკიცებელი საკითხები. საგარეოდაც, რომ რუსეთს კვლავ გულგრილად მოეკიდება ამ საკითხებს, ამი-

ტომ მოსალოდნელია ორივე მხრიდან მკაცრი და აგრესიული განცხადებები, რაც კონსტრუქციულ დიალოგსა და რაიმე კონკრეტული შედეგის მიღწევის შესაძლებლობას გამორიცხავს.” - გვაცნობა პარლამენტიდან კარგად ინფორმირებულმა წყარომ, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა.

სამიტის შესაძლებლობებს, პოზიტიური ძვრები შეიტანოს სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებაში, სკეპტიკურად უყურებენ ბაქოშიც. “იმის გათვალისწინებით, რომ აქამდე გამართულ მოლაპარაკებებზე პრეზიდენტებმა ვერ მიაღწიეს რაიმე შედეგს, ასეთი მოლოდინი სპიკერთა შეხვედრისგან, უბრალოდ, გულუბრყვილობა იქნე-

ბოდა, თუმცა, ასეთი შეხვედრები მაინც აუცილებელია.” - ამბობს აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი რასიმ მუსაბეკოვი.

აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის სპიკერი აღნიშნულ შეხვედრაზე სომხეთის მიერ ანექსირებული ტერიტორიების საკითხის წამოწევის პირობებზე, მაშინ, როცა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე ტიგრან ტროსიანი საბრუნველ მთიანი ყარაბაღის საკითხის განხილვას შეცდომას უწოდებს. “მი-მანიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ყარაბაღის საკითხის წამოწევა არაფერს მისცემს,” - თქვა ტროსიანმა.

ექსპერტთა აზრით, ფორუმი, იმ შემთხვევაშიც კი, მეტ-ნაკლებად ან-

გარიშვასანვე სამიტად გადაქცევას თუ შეძლებს, ალბათ, მაინც საკონსულტაციო ორგანოდ დარჩება. “ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში პარლამენტის თავმჯდომარეებს არ აქვთ ისეთი ძალაუფლება და პოლიტიკური წონა, რომ სახელმწიფო პოლიტიკაზე რეალური გავლენა იქონიონ. იგივე ითქმის რედაქციის საბჭოს თავმჯდომარე მირიანოვზეც, ვისი ინიციატივით იწყებს ეს სამიტი ფუნქციონირებას. მას რუსეთის სახელმწიფო აპარატსა და, მით უმეტეს, სამხედრო პოლიტიკაზე არანაირი გავლენა არ აქვს, ამიტომ სამიტი უფრო საკონსულტაციო ხასიათის იქნება,” - აცხადებს პოლიტოლოგი აიღინ მირზაზადე.

შეწყალბა - სისულა ჰუმანიზმის სახელით

გიორგი ასანიოვილი

ბოლო წლებში, პრეზიდენტის შეწყალბების საფუძველზე, ვადაზე ადრე საპრობლემატიკად რამდენიმე ათასი მსჯავრდებული გათავისუფლდა. ამ პუმიანურ აქტს, ალბათ, მეორე მხარეც აქვს: რამდენად არის გათვალისწინებული დაზარალებული მხარის უფლებები და ინტერესები? ხომ არ გრძნობენ ისინი თავს შეურაცხყოფილად იმით, რომ მათ მიმართ არასამართლრივი ქმედების ჩამდგნს შეღავათებს ანიჭებენ? დამნაშავეთა და დანაშაულის პატივით, ხომ არ გაცნებთ დაზარალებულებს მორალურ ტრავმას?

გვესაუბრებიან პარლამენტარი ელენე თევდორაძე და სახალხო დამცველის მოადგილე თემურ ლომსაძე. თ-ლ: პრეზიდენტის შეწყალბის აქტი, ალბათ, მაინც გამართლებულია, თუნდაც იმიტომ, რომ პენიტენციური სისტემა საქართველოში უმძიმეს მდგომარეობაშია და მსჯავრდებულთა ნორმალური ყოფის პირობები არ არსებობს. საპატიმრო ადგილებში ისეთი ვითარებაა, რომ იქ გატარებული ერთი წელი, თავისუფლად შეიძლება აღარ არსებობს. მართალია, პატიმართა ვადამდელი გათავისუფლების თაობაზე, დაზარალებულებისგან ხშირად ვლდებლობთ საპროტესტო განცხადებებს, მაგრამ მაინც გაიფიქრებ, რომ პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებული შეწყალბა გამართლებულად მიმჩნია.

ე-თ: შეწყალბის კომისია გადაწყვეტილების მიღების დროს დიდ სიფრთხილეს იჩენს. ის, მაგალითად, არასადროს იძლევა თანხმობას იმ მსჯავრდებულის გათავისუფლებაზე, რომელსაც ოთხ წელზე მეტი დარჩა მოსახლელი. ასეთ დროს, უკეთეს შემთხვევაში, მას მხოლოდ სასჯელი უნახევრდება. მაგრამ თუ ათენდისჯილდომა პატიმარმა პატიოსნად მოიხადა 8 ან 12 წელი, მასაც ვაძლევთ რეკომენდაციას. თუმცა, შეღავათებზე, როგორც ნესი, მაშინ მივდივართ, როდესაც მოქალაქემ პირველად ჩაიდინა დანაშაული და ამის მიზეზი სოციალური გაჭირვება გახდა. ასეთ დროს, ხშირად, დაზარალებული თავად მოგვმართავს დამნაშავეს შეწყალბის თხოვნით ან აცხადებს, რომ თანახმაა, დამნაშავეს ეპატიოს.

- პატიმრის შეწყალბა ყოველთვის დაზარალებულის აზრის გათვალისწინებით ხდება?

ე-თ: არა, ეს მაშინ ხდება, როდესაც დაზარალებული მოგვმართავს. - კი მაგრამ, რა იცის დაზარალებულმა, რომელი პატიმრის შეწყა-



მადლიან მძიმე კითხვა დამისვით. არ ვიცი, რა გიპასუხობთ.

ბატი კალაშნიკის ფოტო

ლებზე მუშაობს კომისია?

ე-თ: დაინტერესებულმა დაზარალებულმა ეს ყოველთვის იცის. თუმცა, აქაც არსებობს ერთი ნიუანსი - ვითქვით, ჩადენილია მკვლელობა ან სხვა რაიმე მძიმე დანაშაული. როდესაც ასეთ ვითარებაში მოგვმართავს დაზარალებული და თხოვს, რომ დამნაშავეს სასჯელი ევატოს, ეს უკვე სერიოზულ ეჭვებს ბადებს და მსგავს თხოვნებს არ ვითვალისწინებთ. მით უმეტეს, გვექონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დამნაშავე მხარემ ეკონომიურად უადრესად გაჭირვებული დაზარალებული დასაჯებად დასაჯებად არ უკანასკნელია “ჰუმანურიობა?” სწორედ აქედან მოდიოდა.

- არც თუ იშვიათად, ვადაზე ადრე გათავისუფლებული პირი ხელახლა სწადის დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში ვინმეს (პრეზიდენტს ან შეწყალბის კომისიას) რატომ არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა - რომ არა გადაწყვეტილება დამნაშა-

ვის შეწყალბის შესახებ, უდანაშაულო მოქალაქე ხომ არ დაზარალებულია?

თ-ლ: განმეორებით დანაშაულს შეწყალბებულთა ერთ პროცენტზე ნაკლები სწადის. თუ გაეთვალისწინებთ, რამდენი პატიმარია ვადაზე ადრე გათავისუფლებული, ეს არც თუ ურიკო მაჩვენებელია. აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და, ალბათ, სასამართლოს სტრუქტურების საქმიანობაში ბევრი წუნია და კრიტიკას იმსახურებს. არის შემთხვევები, როდესაც საქმეები ობიექტურად არ არის გამოძიებული და საპრობლემატიკური უდანაშაულო ადამიანები ხვდებიან. ამდენად, შეწყალბის აქტი იმიოაც არის გამართლებული, რომ ასეთი ხალხს ოჯახებში დაბრუნების შანსი ეძლევათ.

ე-თ: ერთიც უნდა ითქვას: ციხიდან გათავისუფლების შემდეგ პატიმრის სოციალურ მდგომარეობაზე არავინ

ფიქრობს, ის პრუნდება გაპარტახებულ ოჯახში, ვერ ახერხებს სამსახურის შოვნას და ხშირად სწორედ ამის გამო სწადის ახალ დანაშაულს. ხდება ისიც, რომ როდესაც რომელიმე საქმე გაუხსნელია, სამართალდამცავები მის “აკიდებას” პირობით გათავისუფლებულ პატიმარზე ცდილობენ. ისე, შეცდომებისგან დაზღვეული არც შეწყალბის კომისია.

- ხედავთ თუ არა პოლიტიკურ სარჩულს ხაზიშვილის, პაპუკაშვილისა და გელაშვილის ვადამდელ გათავისუფლებაში?

ე-თ: პრეზიდენტის ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. მით უმეტეს, პაპუკაშვილმა სულ ცოტა ხნის წინათ მიმართა პრეზიდენტს შეწყალბის თხოვნით, მაგრამ უარი მიიღო. მას პერიოდულად ვხვდებოდი და ერთხელ მომძივია თხოვნით, რომ რიგი ახლადმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით, მისი საქმის ძიება ხელახლა დაწყებულიყო. მე ვთხოვე ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, გამოეყო პაპუკაშვილისთვის უფასო ადვოკატი, რომელმაც მისი საქმე შეისწავლა და მოამზადა დასკვნა პროკურორთან გადასაცხადად. დღეს ამის საჭიროება უკვე აღარ არსებობს. რა დგას ამ სამეულის გათავისუფლების უკან და რა მოტივებით ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი, კომენტარის გაკეთება გამიჭირდება.

თ-ლ: სახალხო დამცველის აპარატი პოლიტიკისგან შორს დგას და ამ კითხვაზე არ ვიპასუხებთ.

- მაშინ, იქნებ, ის ვეითრათ, ამ შემთხვევაში რატომ აუარა პრეზიდენტმა გვერდს შეწყალბის კომისიის და გადაწყვეტილება ერთპირულად მიიღო?

თ-ლ: შეწყალბა ინდივიდუალური აქტია და კეთილი ნების გამოვლენა. ეს უფლებად პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული და შეისმეირ პიროვნების შეწყალბა შეუძლია.

- დღეს, როდესაც მთელმა მსოფლიომ ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს, რამდენად გამართლებულია, რომ ტერორიზმის ბრალდებათა გამართლებულ პიროვნებებს პრეზიდენტი შევარდნაძე ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებს?

ე-თ: ეს სასამართლოს პეროვაციაა. თუ პრეზიდენტი არაკანონიურად მოიქცა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, მისი გადაწყვეტილება გადასინჯოს.

თ-ლ: ძალიან მძიმე კითხვა დამისვით. არ ვიცი, რა გიპასუხობ. ისე, პასუხი, ფაქტობრივად, თავად კითხვაშია ჩადებული.

აბუზარი „შავეზი“, და კანონი ექსტრემიზმის შესახებ

რუსიკო ნიქარაძე

საქართველოს პარლამენტი

მოსკოვის გარეუბანში, ორი დღის წინათ, სომეხი ეროვნების მოქალაქეებს “გადაუბრუნეს”. კრასნოვარდისკიში სომხების ბინებში იჭრებოდნენ ადგილობრივი ახალგაზრდები და ძახილით - “შავეზო, შინ წაეთრეო!” - ბეისბოლის “ბიტით” თავებს უხუთქავდნენ კაცებს, ქალებსა და მცირენლოვანებს. მომხდარის გამო მოსკოვში სომხეთის ელჩმა პროტესტით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. მოსკოვში აკრედიტებული უზიცოეთის სახელმწიფო საინსპექციური ნერილი გაუგზავნეს ივანოვის უწყების საკონსულტაციური ტამენტს და ეროვნული უმცირესობების დაცვა თხოვეს. ამ წერილის ხელი საქართველოს კონსულმაც მოაწერა.

კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების კულტურული ცენტრებიც კოლექტიურ წერილებს წერენ - ვინ პრეზიდენტის, ვინ საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე.

მილიცია რადიკალი ახალგაზრდებისა და ექსტრემისტული ორგანიზაციების ასეთ გამოხდომებს, უბრალოდ, ხულიგნობად მიიჩნევენ. სამაგიეროდ, მეგაპოლისში მეთოდურად იქმნება კავკასიური საფრთხობელების ხატი და შესაფერისი იდეოლოგია - ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა, აგრეთვე, ავღანელებმა და ჩინელებმა საკუთარ სამშობლოში უნდა იცხოვეთონ. არაფერი ესაქმებათ მათ რუსეთის ტრამალებში.

უახლოვს ხუთმაშათს რუსეთის პარლამენტის ზედა პალატა ექსტრემიზმის შესახებ კანონს განიხილავს, მაგრამ ამბობენ, რომ ამ საპრობლემატიკური საქმეების დაგეგმვაში მათი როლი უნდა იყოს მინიმალური. რუსეთის პარლამენტის წევრებიც უკვე პოლიტიკური შეფეროვება მიიღო და ფაქტურად იდეოლოგია იქცა. “შავეზი” კი, როგორც ყველაფერ და ყველაფერში, ნებისით თუ უნებმიდ, ამ იდეოლოგიის არსებობისთვის ხელშეწყობა ძალას წარმოადგენს.

თაღლითობაში ახარისხის ვიცე-პრეზიდენტსაც ახეილენ

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკელ მოქალაქეთა ჯგუფმა სარჩელი აღძრა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის წინააღმდეგ. აშშ-ს მეორე პირს ბრალად სდებენ კორპორაციულ თაღლითობებს, რასაც 1990-იანების ბოლოს ჰქონდა ადგილი, მაშინ, როცა ჩეინი ნავთობ-კომპანია "ჰელიბერტონის" მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი იყო.

თეთრი სახლი სარჩელი მოცემულ ბრალდებებს უარყოფს და უსაფუძვლოს უწოდებს. მაგრამ აშკარაა, რომ ჩეინის დაცვა გაჭირდება და თუკი იგი მართლმსაჯულებამ გაამართლა, საზოგადოებრივი აზრი მას ძნელად გაამართლებს, რადგან ვიცე-პრეზიდენტს ამოუქექეს ვიდუ-ოკლიში, სადაც იგი საქვეყნოდ შერცხვენილი "ანდერსენის" პრომოუშენს ეწევა.

სარჩელი ჩეინის წინააღმდეგ დალასის (ტეხასი) სასამართლოში აღიძრა, სადაც "ჰელიბერტონის" მთავარი ოფისი მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენას სულ რამდენიმე დღით უსწრებდა პრეზიდენტ ბუშის ისტორიული გამოსვლა, სადაც მან კორპორაციული თაღლითობების წინააღმდეგ მოქმედი კანონების გაქცევება მოითხოვა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ის თაღლითობა, რომელსაც ჩეინის აბრალებენ, ორიგინალით არ გამოირჩევა. ისევე, როგორც "ენრონმა" თუ "უორლდკომმა", "ჰელიბერტონმაც" გააყალბა და გაბრდა თავის ანგარიშში მოგვები (თუმცა, "ენრონთან" და "უორლდკომთან" შედარებით, ერობო მოკრძალებულად - სულ რაღაც 445 მლნ. დოლარით) 1999-2001 წლების პერიოდში, რითაც შეცდომაში შეიყვანა და აზარალა ინვესტორები.

"ამ შემთხვევამ ყველას უნდა დაანახოს, რომ ჩვენს ქვეყანაში კანონის წინაშე ყველა თანასწორია. დიკ ჩეინი, ალბათ, მეორე პირი მსოფლიოში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი პასუხისმგებლობას გაექცევა. ჩვენ გვინდა, ეს ამბავი ყველასათვის მაგალითად იქცეს," - აცხადებს ორგანიზაცია "ჯუდიშალ უოჩის" (იურიდიული ზედამხედველობა) თავმჯდომარე ლარი კლიმენი, რო-

მელიც ბრალდების მხარის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა.

ჩეინი "ჰელიბერტონის" მთავარ აღმასრულებელად 1995-2000 წლებში მუშაობდა და კომპანია მასში მიატოვა, როცა ბუშმა არჩევნებში გამარჯვება იხიმა და თავის ერთგულ თანამებრძოლს ვიცე-პრეზიდენტობა დაუბრუნა. "ჰელიბერტონის" საქმეების შემონახვა არავის მოუვიდოდა თავში, რომ არა "ენრონ-ანდერსენის" სკანდალი, რის შემდეგაც სპეციალური სამთავრობო კომისია ყველა კომპანიას მისდგა. "ჰელიბერტონის" ჯერი მისში დადგა და თეთრი სახლისათვის უსიამოვნო ინფორმაციაზე პირველად მაშინ გაჟონდა თუმცა, მაშინ ყველაფერი გაჟონვის დონეზე დარჩა, რადგან კომისიას "ჰელიბერტონისათვის" ოფიციალურად არანაირი ბრალდება არ წაუყენებია. მაგრამ "ჯუდიშალ უოჩი" მიჩნევს, რომ "ჰელიბერტონის" ხელმძღვანელობა დასასჯელია და თუკი სამთავრობო კომისიამ რაღაც მოტივებით ამაზე უარი თქვა, მაშინ ამ აბოცანას თავად აიღებს საკუთარ თავზე.

როგორც უკვე ვახსენეთ, ჩეინის მეტად გაურთულებს საქმეს ვიდუ-ოკლიში. ეს უკანასკნელი 1996 წელსაა გადაღებული - სწორედ მაშინ, როცა ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი "ჰელიბერტონს" მართავდა. კლიმაში ჩეინი ქება-დიდებას აღავლენს "ანდერსენის" მისამართით და ყველას არწმუნებს, რომ ამ ფირმის გენიალური რჩევების გარეშე მისი კომპანია ვერაფერს მიაღწევდა.

"ანდერსენის" საგმირო საქმეების შესახებ უკვე ყველას კარგად მოეხსენება და ამაზე სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს. ისე, პრეზიდენტ ბუშს სურს, რომ კორპორაციული თაღლითობის გამო სასჯელი 10 წლით პატიმრობით განისაზღვროს. "ანდერსენისა" და "ენრონის" თავაკაცებს ალბათ მოუწევთ მომავალში ასეთი სასჯელის მოხდა, მაგრამ რას უზამენ "მსოფლიოს პირველ პირებს?" თაღლითობას ხომ თავად ბუშსაც აბრალებენ ტეხასურ კომპანია (საერთოდ, ბუში და მისი გარემოცვა მჭიდროდა დაკავშირებული ტეხასურ ნავთობთან) "პარქენ ენერჯიში" მოღვაწეობისას. როგორ უნდა ჩასვა სხვა 10 წლით, როცა საზოგადოებას შენზეც აქვს ეჭვი?

პიტარ შოუს ბაუზინარებაში ბიუჯეტი 44 მილიონი ლარით აზარალა

ბიუჯეტი ვერ გასრულდა, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო კმაყოფილია

პირველი ვაიარიდან

საქართველოში ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყველაზე საიმედო ინფორმაციული წყაროს, ხაზინის, მონაცემების თანახმად, ექვსი თვის ბიუჯეტი 86 პროცენტით შესრულდა, ანუ შემოსავლებმა 394.5 მილიონი ლარი შეადგინა. გეგმა, შესაბამისად, 100.8 და 100.4 პროცენტით შესრულეს გადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებმა. გადაჭარბებით შესრულდა რეგიონებისა და თითქმის ყველა დიდი ქალაქის ბიუჯეტი. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ბიუჯეტს 20 მილიონი ლარი დააკლდა. მიზეზი მუდმივი "სატიკვარი", აჭარაში აკრეფილი თანხების ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოურიცხავობა, იყო. შედარებით უმნიშვნელოა (ხუთი მილიონი ლარი) დანაკლისი არასავადსახადო შემოსავლების მხრივ. ყველაზე დიდი დარტყმა ბიუჯეტს უცხოური გრანტების მიუღებლობამ მიაყენა. წლის პირველ ნახევარში საქართველოს პოლანდის მთავრობისგან რვა მილიონი დოლარის ოდენობისა და ევროკავშირის სოლიდური გრანტებით უნდა მიეღო. თუმცა პირველის გადმორიცხვას პოლანდიაში მთავრობის ცვლილებამ შეუშალა ხელი, ევროკავშირის ფინანსური დახმარება კი გაცილებით სერიოზული მიზეზით შეჩერდა: საქართველოში კრიმინალური მდგომარეობის გაურესებლის, უფრო კონკრეტულად - ბრიტანელი ბიზნესმენის გატაცების გახმაურებული ფაქტის გამო. ამ დღეიციტს ავსებს 70 მილიონამდე "ოსმბტაზის" "იტმბალსი" დაავალიანების დასაფარად მთავრობის მიერ აღებული 7 მილიონი ლარის საერთო ოდენობის კრედიტები.

იმას, რომ წლის მეორე ნახევარში,



დავით კალველაშვილი: "გაბალანსებული ბიუჯეტი მებაჟე ფულს აკეთებს"

შედარებით გაზრდილი პარამეტრების შესრულება გაცილებით გაჭირდება, ფინანსთა სამინისტროს სავადსახადო და საბაჟო დეპარტამენტები ახლავდნენ არა მხოლოდ ბიუჯეტის გასრულებას, არამედ დეპარტამენტის თავმჯდომარე, ისევე ზაქარაძე, სერიოზულ რეზერვებს წარჩენილ დაავალიანებულ ადმინისტრირების მნიშვნელოვან გაუმჯობესებებში ხედავს, რისი წყალობითაც 1.3 მილიონი ლარის დაგროვილი დაავალიანებიდან გარკვეული ნაწილის ამოღებას

იმედოვნებს. გარდა ამისა, დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მშენებლობას და "ჩრდილში" დიდი დონით მოქცეულ დარტყებს, დღეს-ანგარიშგაქტურების გაყალბებაზე კონტროლის გაძლიერებას და სივარტის ბიზნესს. უფრო რთული მდგომარეობაა საბაჟოზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ უწყებამ, შარბანდელ პერიოდთან შედარებით, თითქმის 30 მილიონი ლარის დაგროვილი დაავალიანებიდან გარკვეული ნაწილის ამოღებას

„კოკა-კოლას“, 60 ათასი ლარით დაატარებენ

სოფო კვინცრაძე

ამ დღეებში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში გაირკვევა, დააკისრებენ თუ არა შპს „სოკა-კოლას“ ბიუჯეტის სასარგებლოდ 60 149 ლარის ოდენობის ადმინისტრაციულ სახელგანს. ანტი-მონოპოლიური სამსახური „კოკა-კოლას“ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევაში ადანაშაულებს.

"ფინანსთა სამინისტროდან მიგვივარდა ოფიციალური წერილი, რომ შპს „კოკა-კოლას“ სარეკლამო კამპანია, საფუძვლურად ლატარიაში დაკავშირებით, 10 მასის სამინისტრომ ლიცენზია შეუნეცია. მიუხედავად ამისა, „კოკა-კოლა“ სარეკლამო კამპანიაში მინც აგრძელებდა. ჩვენ დაუკავშირ-

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინეს და სასამართლოს გადასცეს განსახილველად. რაც შეეხება საჯარიმო თანხას, იგი ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერა დადგინდა. თუმცა, არმაზ თავაძემ არ გამოიტყობა სასამართლოს მიერ თანხის რაოდენობის შეცვლას. „კოკა-კოლაში“ აცხადებენ, რომ საფუძვლურად ლატარიაში ლიცენზია შეჩერებული ჰქონდა, - განაცხადებდა დამატებითი სამსახურის უფროსმა პრებუ მანუაშვილმა.

ლიცენზირების გარეშე სარეკლამო კამპანიის წარმოება, არმაზ თავაძის განცხადებით, "რეკლამის შესახებ" კანონის დარღვევაა. მისი თქმით, ამაგარი შემთხვევები ქართულ სინამდვილეში ხშირია და ანტი-მონოპოლიური სამსახური ყოველთვის ახდენს შესაბამის რეაგირებას. "კოკა-კოლას" შემთხვევაშიც მათ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინეს და სასამართლოს გადასცეს განსახილველად. რაც შეეხება საჯარიმო თანხას, იგი ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერა დადგინდა. თუმცა, არმაზ თავაძემ არ გამოიტყობა სასამართლოს მიერ თანხის რაოდენობის შეცვლას. „კოკა-კოლაში“ აცხადებენ, რომ საფუძვლურად ლატარიაში ლიცენზია შეჩერებული ჰქონდა, - განაცხადებდა დამატებითი სამსახურის უფროსმა პრებუ მანუაშვილმა.

"იმ პერიოდში, როცა ჩვენ ლიცენზია უნდა აგვემო, ფინანსთა სამინისტროში შესაბამისი სამსახური დროებით გაუქმებული იყო, მიმდინარეობდა მისი რეორგანიზაცია. გარდა ამისა, ჩვენ უნდა წარგვედგინა ცალკეული დოკუმენტები სალიცენზიოდ, რაც დაგვიანდა. ამ დროს „კოკა-კოლას"

შვიცხარულ ბანკებს გამჭვირვალობის ხარისხი მოემატათ

შვეიცარიის ფედერალურმა საბანკო კომისიამ გამოსცა ახალი ვანკარგულებები, რომლებიც "შავი ფულის" გარეცხვის წინააღმდეგ ბრძოლასა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებას შეეხება. კერძოდ, ბანკებსა და სანონსტიციო კომპანიებს მოეთხოვებათ მაღალ რისკთან დაკავშირებული საქმეების დეტალური შესწავლა და მათ მიმდინარეობაზე მუდმივი კონტროლის დაწესება.

კომისიაში აღნიშნეს, რომ ბოლო დროს მიღებული ვანკარგულებები უშუალოდ უკავშირდება ფულის გარეცხვის გახმაურებულ შემთხვევებს, როდესაც დადასტურდა შვეიცარიის ბანკებში ნივთიერების დეტალური, სანი აბაჩესა და პერუს სპეცსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის, ვლადიმირი მონტესინო-

სის მიერ ათობით მილიონი დოლარის შენახვის ფაქტები.

მას შემდეგ, რაც კომისიამ ეს შემთხვევები შეისწავლა, იმ ბანკების სიის გამოქვეყნება გადაწყვიტა, სადაც წესად აქვთ კომპრომეტირებული პოლიტიკური მოღვაწეების ფულის მიღება. ახალი ნუსხები 2003 წელს შევა ძალაში. ამით შვეიცარიის ბანკებს, რომლებიც საბანკო ანაბრების საიდუმლოების 100-პროცენტითა დაცეით იყვნენ ცნობილი, საექვო ანგარიშების შემოწმება დაევალიათ. კერძოდ, ასეთი შემთხვევა მოიცავს ინფორმაციის შეუმოწმებას ანგარიშის მფლობელის საცხოვრებელი ადგილის, მისი სამოქმედო არეალის, მისი ანგარიშის მოცულობისა და განხორციელებული გადარიცხვების სიხშირის შესახებ.

„გაზპრომმა“, „იტრასთან“ ვალეზის საკითხი გაარკვია

დადგინდა ზუსტი ოდენობა თანხისა, რაც "იტრასი" "გაზპრომის" მართებს - სულ რაღაც 61 მილიონი დოლარი. გუშინ ორი კომპანიის ხელმძღვანელებმა, ალექსეი მილერმა და იგორ მაკაროვმა ხელი მოაწერეს განზრახულობათა ოქმს, რომლითაც "გაზპრომს" და "იტრასს"

